ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2017 წლის 4 სექტემბრის სხდომის

ოქმი N 7

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017 წლის 4 სექტემბერს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 40 წევრი, სხდომას ესწრებოდა 29.
კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

სხდომის წამყვანმა, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ აღნიშნა, რომ სხდომას არ ესწრებოდა სხდომის თავმჯდომარე, ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი და და სთხოვა საბჭოს წევრებს წამოეყენებინათ დღევანდელი სხდომის თავმჯდომარის კანდიდატურა. პროფესორმა არჩილ უგულავამ წამოაყენა პროფესორ დავით კერესელიძის კანდიდატურა.

სხდომის წამყვანმა კენჭი უყარა საბჭოს თავმჯდომარედ, პროფესორ დავით კერესელიძის კანდიდატურას.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 29, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭოს სხდომის თავმჯდომარედ არჩეულ იქნას პროფესორი დავით კერესელიძე.

სხდომის თავმჯდომარემ, პროფესორმა დავით დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ სხდომას არ ესწრებოდა საბჭოს მდივანი, ასისტენტ პროფესორი თინათინ დავითაშვილი და სთხოვა საბჭოს წევრებს წამოეყენებინათ დღევანდელი სხდომის მდივნის კანდიდატურა. პროფესორმა მანანა ხაჩიძემ წამოაყენა ასოცირებული პროფესორის ლელა ალხაზიშვილის კანდიდატურა.

სხდომის წამყვანმა კენჭი უყარა საბჭოს სხდომის მდივნად ასოცირებული პროფესორის ლელა ალხაზიშვილის კანდიდატურას.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 29, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭოს სხდომის მდივნად არჩეულ იქნას ასოცირებული პროფესორი ლელა ალხაზიშვილი.

<u>დღის წესრიგი:</u> ზუსტ და საბუნებისმტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის 2017-2018 სასწავლო წლის მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის კორექტირების საკითხი.

1. **მოისმინეს:** დღის წესრიგის საკითხი – ზუსტ და საბუნებისმტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის 2017-2018 სასწავლო წლის მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის კორექტირების საკითხი.
   ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მაგდა ალანიამ, ფაკულტეტის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ შესაძლებელია ზუსტ და საბუნებისმტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის 2017-2018 სასწავლო წლის მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის კორექტირება. მან ფაკულტეტის საბჭოს წევრებს შეახსენა თებერვალში დამტკიცებული ანკეტა-კითხვარის ვაკანტური ადგილების და შემოსული განაცხადების რაოდენობები. შესაბამისი დეპარტამენტების წარმომადგენლებთან შეთანხმებით განხორციელდა არსებული ვაკანტური ადგილების რაოდენობების ცვლილება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა ზუსტ და საბუნებისმტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის 2017-2018 სასწავლო წლის მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარში წარმოდგენილი ცვლილებების დამტკიცების საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 29, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ფაკულტეტის 2017-2018 წლის მაგისტრატურის კორექტირებული ანკეტა-კითხვარი (იხ. დანართი) და გადაეგზავნოს აკადემიურ საბჭოს შესათანხმებლად.

ფაკულტეტის საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
პროფესორი დავით კერესელიძე

მდივანი, ასოცირებული პროფესორი
ლელა ალხაზიშვილი